საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1288-03
17/08/2026

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირთათვის განაცხადის შემოტანის ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანის 2026 წლის 14 აგვისტოს N1276-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მ ინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, რექტორის 2026 წლის 13 აგვისტოს № 1256 -03 ბრძანების და რექტორის 17 აგვისტოს ბრძანების N1281-35 საფუძველზე

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2026 წლის 13 აგვისტოს № 1256-03 ბრძანებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოცხადებული გარე მობილობის ფარგლებში, გადმოსვლის მსურველთათვის, რომლებმაც მოიპოვეს მობილობის უფლება, რეგისტრაციის, ხელშეკრულების გაფორმების, ვადების, ადგილმდებარეობის განსაზღვრისა და სხვა დამატებითი პირობების დამტკიცების შესახებ“ დეკანის 2026 წლის 14 აგვისტოს N1276-03 ბრძანების მე-4 და მე-5 პუნქტით განსაზღვრულ დანართში და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის სახით;

2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება;

3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, სამართლის სკოლას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ბიბლიოთეკას, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს,ადმინისტრაციული პროცესების კოორდინაციისა და მართვის სამსახურს, საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურს,მატერიალური რესურსების სამსახურს, ლოგისტიკისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

თამარ ბარბაქაძე

დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი 1

პროგრამა	კვალიფიკაცია	საფეხური	ადგილების რაოდენობა	წინაპირობა	შენიშვნა
დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ბაკალავრი	საბაკალავრო	30	2020-2021 სასწავლო წლამდე ჩარიცხულ მობილობის მსურველს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მეოთხე გამოცდად ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთ-ერთი საგანი: მათემატიკა, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია ან ბიოლოგია	
ეკოლოგია	ეკოლოგიის ბაკალავრი	საბაკალავრო	30	2020-2021 სასწავლო წლამდე ჩარიცხულ მობილობის მსურველს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მეოთხე გამოცდად ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთ-ერთი საგანი: მათემატიკა, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია ან ბიოლოგია. მობილობით ჩარიცხვის წინაპირობაა არანაკლებ 45 კრედიტის აღიარება.	
ფიზიკა	ფიზიკის ბაკალავრი	საბაკალავრო	10	2020-2021 სასწავლო წლამდე ჩარიცხულ მობილობის მსურველს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მეოთხე გამოცდად ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთ-ერთი საგანი: მათემატიკა, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია ან ბიოლოგია.	
ბიოლოგია	ბიოლოგიის ბაკალავრი	საბაკალავრო	50	2020-2021 სასწავლო წლამდე ჩარიცხულ მობილობის მსურველს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მეოთხე გამოცდად ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთ-ერთი საგანი: მათემატიკა, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია ან ბიოლოგია.	
დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების მაგისტრი	სამაგისტრო	5	პროგრამაზე მობილობით ჩარიცხვის წინაპირობაა ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი საზუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის და სტატისტიკის ფართო სფეროს რომელიმე დეტალურ სფეროში ან ინფორმაციულ ტექნოლოგიებში	კონკურსის არსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება გასაუბრების საფუძველზე
საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის პოლიტიკა (ინგლისურენოვანი)	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი	სამაგისტრო	10	პროგრამაზე მობილობით ჩარიცხვის წინაპირობაა: 1. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში; სოციალური მუშაობის და კონსულტაციის სფეროში; ფარმაციის ან საქმინო საქმის სფეროში; საზუნებისმეტყველო მეცნიერებების, სოციალური მეცნიერებების ან მენეჯმენტის სფეროებში; დიპლომირებული მედიკოსის ან დიპლომირებული სტომატოლოგის კვალიფიკაცია. 2. კომპეტენციის დადასტურება ინგლისურ ენაში (B2 დონე)	კონკურსის არსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება გასაუბრების საფუძველზე
ატმოსფეროსა და ახლო კოსმოსის მეცნიერებები (ინგლისურენოვანი)	მეცნიერების მაგისტრი ატმოსფერულ მეცნიერებებში	სამაგისტრო	5	პროგრამაზე მობილობით ჩარიცხვის წინაპირობაა: 1. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ფიზიკის, ასტრონომიის, მათემატიკის, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ან კომპიუტერული მეცნიერებების დარგში; 2. ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურება (B2 დონე).	კონკურსის არსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება გასაუბრების საფუძველზე
ფიზიკა და ასტრონომია	ფიზიკის მაგისტრი	სამაგისტრო	5	პროგრამაზე მობილობით ჩარიცხვის წინაპირობაა: ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ფიზიკაში, მათემატიკაში, ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სფეროში ან ინჟინერიის და საინჟინრო საქმის სფეროში.	კონკურსის არსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება გასაუბრების საფუძველზე
სურსათის მეცნიერება	სურსათის მეცნიერების მაგისტრი	სამაგისტრო	10		კონკურსის არსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება გასაუბრების საფუძველზე
ეკოლოგია	მეცნიერების მაგისტრი ეკოლოგიაში	სამაგისტრო	15	პროგრამაზე მობილობით ჩარიცხვის წინაპირობაა ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შემდეგ სფეროებში: საზუნებისმეტყველო მეცნიერებების ან მათემატიკისა და სტატისტიკის ფართო სფეროს რომელიმე დეტალურ სფერო, სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, მეთევზეობის ან ვეტერინარიის სფერო, ჯანდაცვის ან ფსიქოლოგიის დარგი.	კონკურსის არსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება გასაუბრების საფუძველზე
გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია	მეცნიერების მაგისტრი ბიოქიმიაში	სამაგისტრო	5		კონკურსის არსებობის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება გასაუბრების საფუძველზე
სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები (მოლეკულური ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები)	მეცნიერების მაგისტრი მოლეკულურ ბიომეცნიერებებში; მეცნიერების მაგისტრი ნეირომეცნიერებებში	სამაგისტრო	5		მობილობა ცხადდება მხოლოდ მოლეკულური ბიომეცნიერებების მიმართულებაზე. კონკურსის არსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიიღება გასაუბრების საფუძველზე.
ბუნების დაცვა და მეტყევეობა	მეცნიერების მაგისტრი ბუნებათსარგებლობაში	სამაგისტრო	20		კონკურსის არსებობის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება გასაუბრების საფუძველზე